ეროვნული ბიბლიოთეკა

მართალია, დააკვირდით, რა ჭირბუქი აქვთ აყენებული მენშევიკებს ჩვენი განცხადების გამო, რომ „ჩვენ სრულიად არ მიგვაჩნია სათაკილოთ მატერიალური დახმარების მიღება რომელიმე თანამოძმე პროლეტარული პარტიიდან“. „ერთობა“ სიხარულით ხტის და ბუქნას უვლის: „ეს იყო სწორედ დასამტკიცებელიო“.

დიდი ხანია, რაც მენშევიკები გამოეთხოვენ ინტერნაციონალის ტრადიციებს და ნაციონალიზმის ჭაობში ჩაიძირენ. მათ წართმეული აქვთ უნარი როგორც აწმყოს გამოცნობისა, ისე აგრეთვე წარსულის გაგებისა, მაგრამ მაინც მოვიყვანთ რამდენიმე ფაქტს ინტერნაციონალის სახელოვანი მოღვაწეობიდან.

მარქსის მიერ დაარსებული პირველი ინტერნაციონალი ყოველგვარ დახმარებას (როგორც მატერიალურს, ისე ზნეობრივს) უწევდა ყველა ქვეყნის მუშებს; მისი თაოსნობით და დახმარებით ტარდებოდა გაფიცვები სხვა და სხვა ქვეყნებში. მისი დიდი როლი პარიზის კომუნის საქმეში ეჭვს გარეშეა. მართალია, ინტერნაციონალის ასეთი მოქმედება გარყვნილებად და უზნეობად მიაჩნდათ მის მტრებს, მაგრამ ესენი იყვნენ თვით გარყვნილი და გათახსირებულნი ამა ქვეყნის ძლიერნი; სოციალისტთა შორის ასეთი მაღალი „ზნეობისა“ დღემდის არავინ გამოჩენილა. დღეს ჩვენს მენშევიკებს სრული უფლება აქვთ დაგმონ ეს მოქმედება და თავისი „სოციალისტური“ წვლილი შეიტანონ მარქსის ინტერნაციონალის უზნეოთ გამოცხადებაში.

იქნება თვით მენშევიკებსაც ახსოვთ მეორე ინტერნაციონალის ერთ-ერთ კონგრესზე გამოაშკარავებული ფაქტი ერთი პროლეტარული პარტიის მიერ მეორე „თანამოძმე პარტიის“ მატერიალურათ დახმარებისა. ბებელმა „გამოააშკარავა“, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია ეხმარება საფრანგეთის პარტიას და ჟორესის გაზეთს დიდ მატერიალურ შემწეობას აძლევს. ამ ფაქტის გამომჟღავნებას სირცხვილის გრძნობა კი არ გამოუწვევია, პირიქით მან საერთო აღფრთოვანება შექმნა. მაგრამ ეს მაშინ იყო. დღეს მენშევიკებს სრული უფლება აქვთ ქვა და ლოდი უთავაზონ ბებელსაც და ჟორესსაც და ყველა იქ დამსწრეთ, რომელთა შორის, თუ არა ვსცდებით, მათი დღევანდელი სტუმარი კაუცკიც იყო.

ჩვენს მენშევიკებს უეჭველათ ეხსომებათ, რომ იგივე გერმანიის პარტია დიდ დახმარებას აძლევდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, რომელიც ფულის მხრით დიდ გაჭირვებას განიცდიდა. გადააფურთხონ მენშევიკებმა ამის გახსენებაზედაც, მხოლოთ ეცადონ, რომ თავისი დღევანდელი პარტიის ცნობილი წევრები არ გასვარონ.

ქვეყანამ იცის და ან რა დასამალია, რომ თვით დღევანდელი მენშევიკები ძველ დროში ხარჯავდენ ფულს სხვათა შორის მეზობელ სომხეთში სოციალ-დემოკრატიული პროპაგანდა-აგიტაციის საწარმოებლათ.

ასეთია ფაქტები როგორც პირველი, ისე მეორე ინტერნაციონალის ისტორიიდან, ასეთია ფაქტები თვით მენშევიკების პრაქტიკიდან. მაგრამ იქნება მხოლოთ მესამე ინტერნაციონალს არა აქვს ამის არც ნება და არც შეძლება? იქნება მხოლოთ საქართველო ხდება მენშევიკების მიერ შერჩენებულ ამ ორგანიზაციის მსხვერპლი?

მენშევიკებს ბევრი სტუმარი მოსდით საზღვარ-გარეთიდან და ისინი ალბათ ეტყოდენ მათ, რომ იტალიაში (ბურჟუაზიულ იტალიაში) გამოდის მთელი რიგი გაზეთებისა, რომლებზედაც აშკარათ და გარკვევით აღნიშნულია, რომ ისინი სარსებო სახსარს ღებულობენ მესამე ინტერნაციონალიდან ან საბჭოთა რუსეთიდან. წარმოიდგინეთ, რომ ეს გაზეთები, მათი რედაქტორ-თანამშრომლები და მათ გარშემო შემოკრებილი კომუნისტური ჯგუფები, ორგანიზაციები და მთელი პარტია გაცილებით მეტი თავისუფლებით სარგებლობენ ბურჟუაზიულ იტალიაში, ვიდრე ჩვენ „სოციალისტურ“ საქართველოში!

ეს ასეა, მაგრამ მენშევიკებისთვის ყოველივე ეს საბუთი არ არის. ისინი ჟუათასჯერ გაიმეორებენ, რომ ჩვენ განსაკუთრებულ პირობებში ვიმყოფებით და ჩვენი პარტიაც გამონაკლისი უნდა იყოს საერთო წესიდან.

ჩვენ უკვე გავაშუქეთ ეს საკითხი და წინადადება მივეცით, რომ მათ კანონის ძალით აეკრძალათ ამგვარი დახმარების მიღება და მერე წამოეყენებინათ ჩვენთვის შესაფერი ბრალდება, თუ კი ჩვენი მხრით ამ კანონის დარღვევას ადგილი ექნებოდა.

მენშევიკებს არც ერთი უნდათ და არც მეორე. მათ ჰყავთ განსაკუთრებული რაზმი, რომელსაც „სამუშაო“ არ უნდა დააკლდეს. აქეთ არის მიმართული მთელი მათი ზრუნვა.

მოკლეთ: არავითარ შეთქმულებას და აჯანყების მოწყობას ჩვენს პარტიაში ადგილი არა აქვს და მენშევიკებიც ვერავითარი გზით ვერ დაამტკიცებენ ამის წინააღმდეგს. აჯანყება-შეთქმულობის ბრალდება ურცხვი ცილის წამებაა მენშევიკების მხრით.

ასეთივე უმსგავსი ბრალდებაა, ვითომ ჩვენ ვიყოთ საბჭოთა რუსეთის დაქირავებული და მოსყიდული აგენტები საქართველოს დამხობის მიზნით. ეს ბრალდება საჭიროებს ასეთ განზრახვის დამტკიცებას პირველ ყოვლისა საბჭოთა რუსეთის მიმართ, რომელსაც მენშევიკები ვერ შესძლებენ მიუხედავათ მათი უტიფრობისა.

ჩვენ ვიმეორებთ, სათაკილოთ არ მიგვაჩნია მატერიალურ დახმარების მიღება სხვა ქვეყნის თანამოძმე პროლეტარულ ორგანიზაციიდან. თუ ეს დაუშვებელია, ეს კანონით უნდა იყოს აკრძალული. მხოლოთ ამის შემდეგ შეიძლებოდა ჩვენს წინააღმდეგ დახმარების მიღების წამოყენება, როგორც ბრალდებისა.

მენშევიკებს ჩვენს წინააღმდეგ არ მოეპოვებათ არც ერთი კანონიერი საბუთი, არც ერთი სამართლიანი მოსაზრება. მათ ხელთ არის მხოლოთ ტლანქი ძალადობა, მაგრამ ამით ვერ შეაჩერებენ ისინი პარტიის გაძლიერებულ ზრდას, რომელიც ადრე თუ გვიან ყოველივე მნიშვნელობას დაუკარგავს დღეს ასე გაათრებით წარმოებულ მათ ძალადობასაც.

# ადგილობრივი პრესა

მთელი მენშევიკური ჯამბათი ფეხზე დგას და ხოშკაკალასავით გვყრის თავზე რეპრესიებს. „ერთობა“ ამას არ სჯერდება და ასე ვთქვათ, „იდეურ“ ბრძოლას აწარმოებს ჩვენს წინააღმდეგ. მისი იარაღია ძველი და ახალი ინსინუაციები, რომელთა დაუსრულებელი ლექსი გლახა ქრისშვილივით მას ხელობათ გაუხდა. არა ერთხელ დაცინვილ ჭორებს ბათუმის დაცემის შესახებ აგი ახლაც იმეორებს:

„როცა ჩვენს საზღვარს ოსმალთა ლაშქარი მოადგა და ბათუმი, ეს ჩვენი გზა და ხიდი ევროპისკენ მიმავალი, მძიმე დღეებს განიცდიდა, ვინ მოგვიწყო აჯანყება ცხინვალში? ვინ მოაცდინა ბათუმის დასაცავათ გამზადებული გვარდია? ვინ ჩაგვცა ზურგში ხანჯალი საქართველოს ბოლშევიკებმა! როცა ბათუმი დაეცა და მტერი გურიაში შემოიჭრა, ოზურგეთი აიღო და ქუთაისისკენ მოიწევდა, ...ლის ყელზე იჭიცვლიდენ, ვინ ააფრიალა სამეგრელოში აჯანყების დროშა? ვინ დაქსაქსა მოზღვავებული მტრის მოსაგერიებლათ გამზადებული ჩვენი ისედაც მცირე ძალები? ვინ და ჩვენებურმა ბოლშევიკებმა“.

ბათუმის დაცემას ჩვენ გვაბრალებენ ის მენშევიკები, რომლებიც ქვეყანას აყრუებდენ ტრაბახით: ვაჩვენებთ სეირს კარზე მომდგარ მტერსო. ისინი, როგორც მათ პოლიტიკურ სიბეცეს შეფერის, ანგარიშს არ უწევდენ ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულობით შექმნილ მდგომარეობას და მამლაყინწურათ გაიძახოდენ: რას მიქვია ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულება, ეს—რუსეთმა წამოიჩოქოს იმპერიალისტების წინ, ჩვენ კი ქედს არ მოვიხრით და მარტოთ-მარტონი დავიცავთ ჩვენს ქვეყანასო.

როდესაც ბათუმის ფრონტიდან დაბრუნებული მენშევიკი გეგეჭკორი არხეინი კილოთი არწმუნებდა ყველას—ბათუმის [...] განმავლობაში სრულიად უზრუნველყოფილია, ამ დროს თურმე ბათუმი უკვე დაცემული იყო. ასე მშვენივრათ იცოდენ მენშევიკებმა მათი საზრუნავი საქმის მდგომარეობა. მათ ნაჭამალი წარმოდგენაც არა ქონდათ იმისა, რომ ომის წარმოება სახუმარო საქმე არ არის, რომ იმპერიალისტური ომიდან განაწამები ჯარი უკვე გახრწნილია და არ გამოდგება მებრძოლ ელემენტათ, და დიდი ფაჩი ფუჩით შეუდგენ საქმეს. შედეგმაც არ დაიგვიანა და გამოააშკარავა მთელი სიკოტრე მენშევიკური პოლიტიკისა. ბათუმი დაეცა და მენშევიკები იძულებული შეიქმნენ მათ მიერ ათვალწუნებულ ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულებას ჩაბღაუჭებოდენ, მაგრამ ესეც დაგვიანებული აღმოჩნდა: მათ ხელი აიღეს ორ დიდ მაზრაზე, რომლებსაც ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულობა ამიერ-კავკასიის საზღვრებში გულისხმობდა: ეს მაზრებია ახალქალაქის და ახალციხის მაზრა. ასე სამარცხვინოთ დაამთავრეს მენშევიკებმა თავისი კამპანია და უეჭველია, პირველ ხანებში თითონაც გრძნობდენ, რომ ...ვე არ გამოიყურებოდით ქვეყანაში. მაგრამ მაინც სცადეს თავის გამოყოფა და სცადეს, რასაკვირველია, ჩვენს ხჯარზე: ბოლშევიკების ბრალი იყო ყველაფერიო.

ასეთსავე სიმართლეს შეიცავს მენშევიკების ყველა სხვა ბრალდებები.

# ბიულეტენი პრესბიუროსი

## რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.

(რადიოთი მოსკოვიდან, ნაუენიდან, ლიონიდან და სხვ. და პირდაპირი მავთულით კავკავიდან და ბაქოდან).

## საბჭოთა რუსეთში

### ჩიჩერინის დეპეშა კერზონს.

მოსკოვი, 12 დეკემბერი. ჩიჩერინმა კერზონს გაუგზავნა შემდეგი რადიო:

„ლონდონში ლორდ კერზონს 4 დეკ. კრასინის პირით საბჭოთა მთავრობამ მიიღო ცნობა, რომ განზრახული სავაჭრო ხელშეკრულობა ბრიტანიის მთავრობასთან არ უთითებს იმას, თუ რა პოლიტიკური პრინციპებით იხელმძღვანელებს ეს მთავრობა. აღნიშნული დეპეშა ეყრდნობა მხოლოდ ბრიტანიის მემორანდუმს 30 ივნისის და რუსეთის ნოტას 7 ივლისისას. ორივე ეს საბუთები ლაპარაკობენ, რომ ორივე მხარემ შეწყვიტოს სამხედრო მოქმედება და ოფიციალური პროპაგანდა, აგრეთვე აუნაზღაურონ კერძო პირებს ის ქონება, რომელიც ჩამოართვა მას საბჭოთა მთავრობამ. შემდეგ იქნა მიღებული, რომ ამ პრინციპებას მიღების შემდეგ, მომავალ პოლიტიკურ შეთანხმებისათვის უნდა გადაეცეს ამ პირობების გარჩევა განსაკუთრებულ კომისიას, რომელიც იქნება შემდგარი ორივე სახელმწიფოების დელეგატებისაგან და ექსპერტებისაგან. ბრიტანიის მთავრობამ თავის მემორანდუმში წამოაყენა დებულება, რათა ეს პრინციპები დაედვას საფუძვლად დროებით ზავს, რომელიც წინ წარუძღვება შემდეგ მოლაპარაკებას. 7 ივლისის პასუხში საბჭოთა მთავრობა სურვილს გამოთქვამდა ინგლისის მიერ წამოყენებულ პირობებზე. საბჭოთა მთავრობამ თავის მხრივ გაგზავნა ამ მიზნით ლონდონში სრულ-უფლებიანი დელეგაცია, მაგრამ საუბედუროთ, ინგლისის მთავრობამ გაიწვია რუსეთის დელეგატები და გააჭიანურა მოლაპარაკება მთელი ხუთი თვის განმავლობაში და ის გაურბოდა აღნიშნულ კითხვების გადაჭრას. ამისთვის რუსეთის მთავრობას დღეს არ უკვირს, რომ პრინციპები შეცვლილია და გადამუშავებული იმ მიმართულებით, რომ რუსეთს მეტი ვალდებულობა ედება. ადვილი გასაგებია, რომ ბრიტანეთის მთავრობა იმ მიზნით აჭიანურებდა მოლაპარაკებას, რომ იმედი ქონდა, პოლონეთი და ვრანგელის ბანდები დაეხმარებიან მას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ და საბჭოთა რუსეთს გაუჭირდება და უფრო მძიმე პირობებს მიიღებს, ვიდრე ივლისის წარდგენილ პირობებს, როდესაც საზღვარ-გარეთ იცოდენ, რომ სამხედრო მოქმედება რუსეთის სასარგებლოთ მიმდინარეობდა.

ახლა, როდესაც პოლონეთთან კონფლიქტს ბოლო ეღება; როდესაც კონტრრევოლიუციის უკანასკნელი ნაშთები სამუდამოდ განადგურებულია, როდესაც ფინლიანდიასთან ზავი შეკრულია, როდესაც საბჭოთა რუსეთის მცხოვრებთა რიცხვი დღითი დღე იზრდება, გაუგებარია რას ფიქრობს ბრიტანეთის მთავრობა, როდესაც ის ცდილობს თავს მოახვიოს საბჭოთა რუსეთს ახალი ვალდებულებანი, რომლის შესახებ არ ყოფილა მოლაპარაკება და რომელზედაც საბჭოთა რუსეთს არ მიუცია თავისი დასტური. მიუხედავათ იმისა, რომ ბრიტანეთის მთავრობა მთელ რიგ თავის განცხადებებში აცხადებდა, რომ ის მშვიდობიანობის მომხრეა და სურს საბჭოთა რუსეთთან მეგობრული განწყობილება დაამყაროს, ხუთი თვის განმავლობაში მოლაპარაკების შეწყვეტის შემდეგ გადაჭრა კითხვები, რომლებიც ეწინააღმდეგება საბჭოთა რუსეთის ინტერესებს როგორც მაგალითად ბესარა-

რუსეთი ისევ იცავს თავის პრინციპებს მშვიდობიანობის დამყარებას, ის თანახმაა დაუბრუნდეს მოლაპარაკებას იმ საფუძვლებზე, რომელზედაც იყო ლაპარაკი ივნისში და ივლისში. მაგრამ ის არ დასთანხმდება ამ პრინციპების შეცვლას ერთ მხარის სასარგებლოთ. 9 ნოემბრის ნოტაში საბჭოთა მთავრობამ კიდევ გამოთქვა თავისი შეხედულება სავაჭრო ხელშეკრულებაზე ბრიტანეთის და საბჭოთა რუსეთის შორის. რუსეთის მთავრობა უთითებს, რომ ამ შეთანხმებას უნდა მოყვეს პოლიტიკური ხასიათის მოლაპარაკება ლონდონში ან და სხვა რომელიმე ნეიტრალურ ქალაქში, რომელიც არჩეული იქნება ურთიერთ შეთანხმებით. ამასთან ერთად, საბჭოთა მთავრობა აუცილებლად თვლის შეაჩეროს სამხედრო მოქმედება და პროპაგანდა ინგლისის წინააღმდეგ მიმართული და მზათაა დააკმაყოფილოს ბრიტანეთის მოქალაქეების მოთხოვნილება: საქონლის საფასურის მიცემა, რომელიც მათ ჩამოართვეს რუსეთში. ის თანახმაა სცნოს სავაჭრო ხელშეკრულების პრინციპები, რომლებიც ჩამოთვლილია აღნიშნულ ნოტებში, რომლებიც საფუძვლად დაედება მომავალ პოლიტიკურ კონფერენციას რუსეთისა და დიდ ბრიტანეთისას. ამ კონფერენციაზე დამტკიცებული იქნება ყველა ის ვალდებულებანი, რომელსაც რუსეთი კისრულობს ბრიტანეთის მთავრობის წინაშე და ბრიტანეთის ვალდებულებანი რუსეთის წინაშე. ასე მოხდა ყველა სახელმწიფოებთან ზავის შეკვრის დროს და ასე უნდა მოხდეს ახლაც, ვინაიდან ამ შემთხვევაში გამონაკლისის დაშვება შეუძლებელია. მეორე პარაგრაფი უნდა იქნეს გამორიცხული და ის იქნეს შეცვლილი ურთიერთ შეთანხმებით, ივნისის და ივლისის ნოტების საფუძვლებზე. რაც შეეხება სავაჭრო ხელშეკრულობის დანარჩენ პუნქტებს, ამის სამუდამო ჩამოყალიბება უნდა მოხდეს ბრიტანეთის მთავრობის მიერ კრასინთან ერთად. სამუდამო ხელშეკრულობა უნდა წარედგინოს საბჭოთა მთავრობას გასარჩევად და დასამტკიცებლათ. სავაჭრო ხელშეკრულობის ჩამოგდებასთან ერთად უნდა მოხდეს პოლიტიკურ შეთანხმების ხელის მოწერა, რომელსაც აქვს ნიადაგი მომზადებული 30 ივნისის და 7 ივლისის ნოტებით. რუსეთის საბჭოთა მთავრობა სურვილს გამოთქვამს, რომ მასთან ერთად ბრიტანეთის მთავრობა გადაჭრის ყველა სადავო კითხვებს და ორივე სახელმწიფოს გულწრფელი სურვილი ზავის ჩამოგდებისა მიგვიყვანს მეგობრულ განწყობილებამდი ორივე მხარეთა შორის“.

ჩიჩერინი.

### სტეკლოვი პოლონეთთან ზავზე

მოსკოვი, 11 დეკ. სტეკლოვი „იზვესტიის“ მოწინავეში სწერს: „პოლონეთი ცდილობს დაარწმუნოს საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრი, რომ რუსეთ-პოლონეთის ზავი ძალდატანების შედეგი კი არ არის, არამედ ურთიერთ შეთანხმების. ნამდვილათ მდგომარეობა კი ასეთი არაა, საბჭოთა რუსეთი გრძნობს და აშკარათ აცხადებს, რომ როდესაც პოლონეთთან ზავს კრავდა, ის წავიდა დიდ დათმობებზე, რომელიც რუსეთის ინტერესების წინააღმდეგია. მაგრამ ყველა ასეთ დათმობებს ქონდა ერთი მთავარი საფუძველი, ეს იყო სურვილი ომის მოთავებისა და მეურნეობის აღორძინებისათვის მუშაობა. ამ მიზ-[...]რის მცირე მსხვერპლი. რა თქმა უნდა პოლონეთსაც სურვილი ქონდა ზავის ჩამოგდებისა, ვინაიდან მასაც არ შეეძლო ომის გაგრძელება. ასეთ პირობაში მოსალოდნელი იყო, რომ ორივე სახელმწიფო გამოვიდა დაკმაყოფილებული. დომბსკი მართალია, როდესაც ლაპარაკობს, რომ ყველაზე მართალი გზა ის გზაა, რომელსაც მიგვყავართ ორივე მხარის დაკმაყოფილებამდე, მაგრამ როგორ შეიძლება ლაპარაკი სოლიდარულ მუშაობაზე, თუ პოლონეთის დელეგაციის თავმჯდომარე მოითხოვს, რომ „კეთილ მეზობლური განწყობილების ინტერესი მოითხოვს, რათა პოლონეთი იქნას დაჯილდოვებული იმ ზარალისაგან რომელიც მას მოუვიდა ომის გამო“. ამ მოთხოვნილებას უყენებენ საბჭოთა მთავრობას, რომელმაც ქვეყანაზე მეტი ზარალი და განადგურება მოიპოვა ომის შემწეობით. ლაპარაკობენ: საბჭოთა მთავრობა მიისწრაფვის მშვიდობიანობისაკენ და ამისათვის მან უნდა გადაიხადოსო. მართალია, ჩვენ არ უარვყოფთ, რომ საბჭოთა მთავრობას სურს ზავი და მშვიდობიანობა, როგორც ამას ამტკიცებს მისი მრავალი მოქმედებანი. ზავის ჩამოგდებისათვის საბჭოთა მთავრობა დიდ ტერიტორიალურ და ეკონომიურ დათმობებზე მიდის და დიდი სურვილით მოაწერა ხელი დროებით ზავს, რომელიც პოლონეთისათვის მეტად სასარგებლოა. მაგრამ ასეთ დათმობებსაც საზღვარი აქვს. პოლონეთის მოთხოვნილებები კი აჭარბებენ ამ საზღვრებს. პოლონეთი მოითხოვს სამას მილიონ მანეთს ოქროს, ეს მას მიაჩნია თავის წილად როგორც რუსეთის იმპერიის ყოფილი ნაწილი. პოლონეთის მოთხოვნილება რევაკუაციის შესახებ კიდევ უფრო მეტად აჭარბებს ასეთ საზღვრებს. საკმარისია ვთქვათ, რომ პოლონეთი მოითხოვს ყველა იმ ქონების ანაზღაურებას, რომელიც გამოტანილი იქნა პოლონეთიდან 1914 წლიდან. ეს ქონება უდრის მილიარდ მანეთ ოქროს სალირალს. ასეთი მსხვერპლის გაღება რუსეთს არ შეუძლია, თუ გინდ მას სურვილიც ქონდეს ამისი. ასეთ მსხვერპლს შეუძლია სრულიად გაასწოროს მიწასთან ის მოსაზრებანი, რომლის გამო რუსეთმა სურვილი განაცხადა ზავის ჩამოგდებისა. რუსეთმა რომ პოლონეთის ყველა გადაჭარბებული მოთხოვნილებანი დააკმაყოფილოს, საბჭოთა რუსეთი გამოიფიტება და დასუსტდება. მტკიცე ზავის ინტერესებისათვის საბჭოთა რუსეთს არ შეუძლია წავიდეს ასეთ დათმობებზე.

### სუბოტნიკების ზრდა.

მოსკოვი, 12 დეკ. უკანასკნელ თვეში მოსკოვის სუბოტნიკებში მოსკოვში მონაწილეობას ღებულობდა 220.000 კაცი.

### გროზნი ნავთი.

მოსკოვი, 12 დეკ. გროზნის რაიონში ნავთის დამუშავებამ მიაღწია იმ ნორმას, როგორიც ომამდის იყო.

### მილოცვა ურაგვაიდან.

მოსკოვი, 12 დეკ. საბჭოთა მთავრობამ მიიღო მილოცვა ურუგვაის (სამხრეთი ამერიკა) მუშებისაგან. „ჯერ არ გაგონილი და შეუდარებელია ის ტიტანიური ბრძოლა გმირობა მსოფლიო რევოლიუციისათვის, რომელსაც ეწევა საბჭოთა რუსეთი. ჩვენ მწუხარებას გვგვრის, რომ მონაწილეობას ვერ ვღებულობთ ამ ბრძოლაში.

### წითელ ყირიმში.

სევასტოპოლი, 10 დეკემბერი. ყირიმში [illegible]